

## დიასპორისა და კავკასიის საკითხთა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტების სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის 17 აპრილს, 13:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის თბილისის სასახლეში (კომიტეტის სათათბირო ოთახი N317, C კორპუსი, III სართული) დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - **ზვიად კვაჭანტირაძე** და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - **მარიამ ჯაში** სამუშაო შეხვედრას გამართავენ აზერბაიჯანის ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენლებთან მათი პრობლემატიკის განხილვის, ქალაქ კახში მოქმედი ანსამბლის „ჰერულა“ ფუნქციონირებისა და პროექტის „ჰერეთის სახლი“ განხორციელების თაობაზე.

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ: **მეუფე დიმიტრი კაპანაძე-ხორნაბუჯისა** და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, **გიორგი პაპიაშვილი** - ანსამბლის „ჰერულა“ სამხატვრო ხელმძღვანელი; **ვასილ პაპიაშვილი** და **მიხეილ ნუროშვილი** - პროექტის „ჰერეთის სახლი“ დამფუძნებლები; **ლევან თედიაშვილი** - სპორტის დამსახურებული მოღვაწე.